საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კულტურის მეცნიერებები / Cultural Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Cultural Studies

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: პროფესორი ნინო ჩიქოვანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: კულტურის მეცნიერებები, როგორც დარგი ბოლო 30 წლის მანძილზე განვითარდა დასავლურ უნივერსიტეტებში და გავრცელდა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში. კულტურის მეცნიერებები კვლევისა და სწავლების ცალკე სფეროდ XX ს. 50-იან წლებში ჩამოყალიბდა. დროთა განმავლობაში სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში ჩამოყალიბდა კულტურის კვლევათა განსხვავებული პრობლემატიკა და ტრადიცია.

ჩვენთვის, ისევე როგორც ცივილიზაციათა მიჯნაზე არსებული სხვა რეგიონებისათვის, რომლებიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში კონფლიქტების მთავარ კერებად იქცა, მნიშვნელოვანია კულტურული იდენტურობის, კულტურათა კომუნიკაციის, მიმდინარე კონფლიქტების კულტურული საფუძვლების, ძალადობის კულტურული კონტექსტისა და სხვა საკითხების კვლევა. ჩვენთვის საყურადღებოა მრავალეთნიკურ, მრავალკულტურულ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიული დინამიკა და მისი თანამედროვე შედეგები.

ყველა დასახელებული პრობლემა, აკადემიურთან ერთად, პოლიტიკური ინტერესის საგანია. პოლიტიკური გადაწყვეტილებები მით უფრო ადეკვატურია, რაც მეტადაა გათვალისწინებული კულტურული რეალობა და წარსული. ეს ნათლად წარმოაჩენს კულტურის მეცნიერებათა პრაქტიკულ და გამოყენებით მნიშვნელობას.

კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით მოცულ გლობალურ სამყაროში თანაარსებობს, ერთი მხრივ, ინტეგრაციისა და უნივერსალიზაციის, მეორე მხრივ კი დეზინტეგრაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები. მეცნიერება ლოგიკურად მივიდა ისტორიისა და თანამედროვეობის კულტუროცენტრულ ხედვამდე.

ჩვენში კულტურის მეცნიერებათა სწავლება უნდა შეესაბამებოდეს და ემყარებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებულ გამოცდილებას. მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურის მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის შექმნის იდეა ემყარება დასავლურ უნივერსიტეტებში არსებულ და ჩვენში ბოლო ათი წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას.

პროგრამის მიზანი: პროგრამა მოიცავს საგნებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს კულტურის მეცნიერებათა ინტერდისციპლინურ ბუნებას. სტუდენტი უნდა გაეცნოს ამ მეცნიერებებში გამოყენებულ ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, სკოლებსა და მიმდინარეობებს, რომელთა წარმომადგენლებმა სათავე დაუდეს კულტურის მეცნიერებათა ჩამოყალიბებას კვლევის ცალკე დარგად, კულტურის ემპირიული კვლევის მეთოდებს. გარდა ამისა, იგი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენისადმი ინტერდისციპლინური მიდგომის, ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს.

შეძენილი ცოდნის შემოწმებისა და პრაქტიკული გამოყენების ამოცანას ემსახურება

საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც, ამავე დროს, საფუძველს უყრის დამოუკიდებელი კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.

სწავლის შედეგები: საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს ზოგადი ჰუმანიტარული ცოდნითა და კონკრეტული კომპეტენციით კულტურის კვლევათა სფეროში; ეხმარება დაინახოს, როგორ უკავშირდება კულტურული განვითარების პრობლემები პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებს ამა თუ იმ ეპოქაში; რამდენად დამოკიდებულია წარსულის აღქმა და რეპრეზენტაცია კონკრეტულ კულტურულ სივრცეზე; როგორ იცვლება სამეცნიერო ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად; სტუდენტს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება, პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტის ხერხებისა და გზების შერჩევა; ჰქონდეს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეეძლოს კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვა, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა ზეპირი და წერილობითი ფორმით.

დასაქმების სფეროები
კულტურის მეცნიერებათა ძირითადი სპეციალობის მქონე ბაკალავრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს იმ სასწავლო, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, რომელთა ინტერესის სფეროს კულტურის ფენომენი წარმოადგენს. იგი შეიძლება დასაქმდეს არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიაში, კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებში, ითანამშრომლოს კულტურულ–ისტორიული მიმართულების ექსპედიციებთან.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობა არ გააჩნია

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სავალდებულო საფაკულტეტო კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადად შეიძლება განისაზღვროს მეხუთე სემესტრი.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების რიდერები და სწავლებისა და კვლევის პროცესისათვის საჭირო ელექტრონული რესურსი.

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კულტურის მეცნიერებები

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ნინო ჩიქოვანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს კულტურის მეცნიერებების დარგში. სტუდენტი გაეცნობა ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, სკოლებსა და მიმდინარეობებს, კულტურის ემპირიული კვლევის მეთოდებს. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის მეცნიერებათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას.

სწავლის შედეგები: დამატებითი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს ზოგადი ჰუმანიტარული ცოდნითა და კონკრეტული კომპეტენციით კულტურის კვლევათა სფეროში; ეხმარება დაინახოს, როგორ უკავშირდება კულტურული განვითარების პრობლემები პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებს ამა თუ იმ ეპოქაში; რამდენად დამოკიდებულია წარსულის აღქმა და რეპრეზენტაცია კონკრეტულ კულტურულ სივრცეზე; როგორ იცვლება სამეცნიერო ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად; სტუდენტს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება, პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტის ხერხებისა და გზების შერჩევა; ჰქონდეს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეეძლოს კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვა, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა ზეპირი და წერილობითი ფორმით.

დასაქმების სფეროები

კულტურის მეცნიერებათა დამატებითი სპეციალობის მქონე ბაკალავრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს იმ სასწავლო (არა პედაგოგიური საქმიანობა), სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, რომელთა ინტერესის სფეროს კულტურის ფენომენი წარმოადგენს. იგი შეიძლება დასაქმდეს არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიაში, კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებში, ითანამშრომლოს კულტურულ–ისტორიული მიმართულების ექსპედიციებთან.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX

0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით პროგრამაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობა არ გააჩნია

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მეშვიდე სემესტრში (თუ ამ დროისათვის დაგროვილი აქვს სავალდებულო საფაკულტეტო და ძირითადი სპეციალობის ყველა კრედიტი).